სამშობლო

პარასკევი
26 თებერვალი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ [illegible] 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი [illegible] პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელ [illegible] 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე [illegible] განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 295 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 295

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
თრივ ტკბილია ძმობილთ მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„სამშობლო“-ზე
ქ. ქუთაისი. წელიწადი მეორე. ქ. ქუთაისი.
გაზეთი გამოვა
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.
წლიურათ გაზეთი ღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.
რედაქტორ-გამომცემელი ი. თ. ცინცაძე.

დამწუხრებული მშობლები მამასახლისი **ივანე ნიკოლოზის ძე** და მეუღლე მისი **კატო ბეჟანის ასული**; ძმები **სევერიანე** და **ნიკოლოზ ივანეს ძენი ფხაკაძენი**, რძალი **ნადეჟდა გრიგოლის ასული** ფხაკაძისა, და ვანია სევერიანეს ძე ფხაკაძე გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და მეგობრებს პირველნი საყვარელი ქალიშვილის, მეორენი ძვირფასი დის, მესამე მულის და უკანასკნელი მამიდის

ნადეჟდა ივანეს ასულის ფხაკაძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მიცვალებულისა მოხდება კვირას, 28 თებერვალს, ნაშუადღევის 3 საათზე, ოლასკურის სასაფლაოზე. გამოსვენება ძველი ლოგერის ქუჩაზე, საკუთარ სახლიდან. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 7 საათზე.
63 2—1

28 თებერვალს, ქ. ქუთაისში გამოვა ჟურნალი,
ალმანახი
„ახალი ცისკარი“
შემდეგი შინაარსით:

I. პოეზია.
ია ეკალაძე—შვილი მუშა ბოქულაძისა. ნ. ჩხიკვაძე—განცდა მგოსნისა.
ვ. რუხაძე—მე ბუნების მიჯნური ვარ. გალაკტიონ ტაბიძე—კოშკი.
გ. მეგრელიშვილი—ქურუმი. ლადო მაჭავარიანი—მზე-ქალი.
მ. ანაშვილი—მოგონება. სიმ. წვილი—გედი.

II. პროზა.
დემნა შენგელაია—მემომნის ძეგლი. ნ. მიწიშვილი—ძველი ლეგენდა.
ნიკ. ასათიანი—ფურცელი სიყვარულისა. ვასო შითავა—და-ძმა.
ირ—დი—პირველი ნაბიჯი. ბ. მირზაშვილი—ვარდი.

III. კრიტიკა
IV. ბიბლიოგრაფია
მიმოხილვანი.

5—4 ფასი ყველგან ორი შაური.

ექიმი ა. მ. ასათიანი. განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან ავათმყოფობის) ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახ. № 3. თ. 11

ექიმი ვ. დ. ნასარიძე შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი.
4 თ.

ექიმი ი. ჩარაძოვი ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ, მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახლში.
1 თ.

ექიმი შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევს 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის სახლი № 46
14 ტელეფონი № 87 თ.

დოქტორი მედიცინისა პრივატ-დოცენტი
ვ. პ. მოსეშვილი
მიიღებს შინაგანი და ნერვების ავათმყოფობებით სნეულებს დილის 8 ს. ნაშუადღევის 2 ს. და საღამოს 6 ს. 8 ს.
6 გოსპიტლის ქუჩა, № 6. თ.

გაბრიელ იოსების ძე
ექიმი გოკიელის
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ. 2

ელექტრო „რადიუმი“ თეატრი.
ორშაბათიდან, 29 თებერვლიდან ნაჩვენები იქნება
და ელოდება იგი
მკაცრ გასამართლებას.
დრამა ცხოვრების სინამდვილე ოთხ ნაწილად, რუსეთის გამოჩენილ მსახიობთა ჩერნოვის, მიჩურინისა, და ბარლოვის მონაწილეობით.
ინგლისის მეფე საფრანგეთში და ტრესი სალასტიაკოვი.
11 კომიკური. თ.

ელექტრო „ამპირი“ თეატრი
ორშაბათიდან, 29 დებრვლიდან ნაჩვენები იქნება:
დამსხვრეული ზღაპრები.
(ბატისტის ხელსახოცი).
მეტად საყურადღებო დრამა ოთხ ნაწილად, ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით: ბუქსოვისა და გრილის.
ინგლისის მეფე საფრანგეთში. სასაცილო დრამა 2 ნაწ. რუდოლფისა და ჯიზეტის
12 მონაწილეობით. თ.

ს./ს. ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში
ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ
მივიღეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი
ხ. ხრისტოდულიდის.
მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, საკ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის,
თ. დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

ელექტრო თეატრ
„რადიუმ“-სა„ და ამპირში“
შესასვლელი ბილეთების ფასები:
ლოჟა — — — — 85 კაპ.
1 — — — — 75 „
2 — — — — 50 „
3 — — — — 30 „
მოსწავლეთათვის მეორე ალაგზე 30 კაპ. ჯარისკაცთათვის მესამე ალაგი—20 კაპ.
64

კვირას, 6 მარტს, დილის 11 საათზე, სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნულია საქართველოს საისტორიო და **საეთნოგრაფიო** საზოგადოების **არა ჩვეულებრივი**

საზოგადო კრება;

კრებამ უნდა აირჩიოს სამი წარმომადგენელი ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირის დამფუძნებელ კრებაზე დასასწრებლათ და სარევიზიო კომისია გამგეობის ორი წლის ანგარიშის განსახილველათ.
3—2 61

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა. ლორთქიფანიძის სახლი.
8 თ

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ლებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირას გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქიხოსრო ჯაფარიძისა.
10

გამოცდილი მასწავლებელი ამზადებს საშუალო სასწავლებლისთვის მოწაფეს 1—6 კლასამდე და კისრულობს აგრეთვე „რეპეტიტორობას“.
მისამართი: გაზეთ „სამშობლო“-ს რედაქციაში. უფ.

უმაღლეს მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 23 თებერვალი. ყველა ფრონტზე არტილერიის ბრძოლა და წვრილი შეტაკებები ხდებოდა.

24 თებერვალი. რიგის რაიონში რუსების არტილერიამ გერმანელთა ბატარეია რამდენჯერმე ჩააჩუმა და მათ საპოზიციო მუშაობას ხელი შეუშალა.

დვინსკსა და ილუქსტის ხაზზე გრძელდება მკაცრი ბრძოლა ფეხ მოსაკიდებელ ბეგობების დასაჭერად. გერმანელთა ცდა ხსენებულ ბეგობების დასაუფლებლათ უნაყოფოდ ჩატარდა. ბრძოლაა აგრეთვე რეველკოვნოს ხაზზე, სადაც რუსებმა გერმანელები უკუაგდეს.

მდინარე ზემო სტრიპასთან რუსებმა მტერი 50 ნაბიჯით მოიგერიეს, შემდეგ ბრძოლა აუტეხეს და ზარალი მიაყენეს. ბიანის აღმოსავლეთით რუსების მზვერავებმა მოსპეს გერმანელთა მოდარაჯენი.

კავკასიის ფრონტი.

რუსები ოსმალთა დევნასა და შევიწროებას განაგრძობენ.

23 თებერვალს რუსებმა დაიკავეს ქ. რიზა და სპარსეთში ქ. სენა, რომელიც ქერმანშაჰის მახლობლად მდებარეობს.

დანარჩენი დეპეშები იხილე მეოთხე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

სამხედრო ახსნა—განმარტება.

„ბირჟევია ვედომოსტის“ სამხედრო მიმომხილველი შოემსკი თავის წინასწარმეტყველების შესრულების საბუთს იმაში ხედავს, რომ გერმანელებმა ვერდენი დღემდე ვერ აიღეს და იერიშებიც თანდათან შესუსტესო; და თუ კიდევ სულ არ შეწყვიტეს, ეს მიმომხილველის აზრით აიხსნება იმით, რომ გერმანელთ იერიშების მოულოდნელათ შეწყვეტა უხერხულათ მიაჩნიათ და ამიტომ ამის აშკარათ ჩადენა არ სურთო.

თავს ინუგეშებენ.

„ვეჩერნეე ვრემია“ სწერს: ფრანგებს აურაცხელი სათადარიგო რეზერვები ჰყავთ და სამხედრო მასალაც, არტილერიაც აუარებელი აქვთ; და ყველაფერს ამას იმ მომენტისათვის ინახავენ, როცა გადამჭრელი ბრძოლები დაიწყება დასავლეთის ფრონტზე; ახლა კი გერმანელთა დემონსტრაციას ვერდენთან საფრანგეთი არ აყვება და მთელ თავის ძალას აქ არ გამოიჩენს. კარგათ იცის, რომ გადამჭრელი ბრძოლა აქ არარის დაწყებული, იგი სადმე სხვაგან მოხდება და მაშინ ფრანგები ყველაფერს, რაც კი მოეძევათ სასწორზე დასდებენ.

შიში რუსეთის არმიის წინაშე.

ათინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ბულგარეთს მცირე აზიაში რუსეთის ჯარების წინსვლა და გამარჯვება ძალიან აშინებს. ხალხში ხმები გავრცელდა, რომ რუსები იქიდან მოვლენ, საიდანაც ჩვენ სულაც არ მოველოდით. მომავლის შიშით ხნიან იმასაც რომ დღეს მეფე ფერდინანდი ავსტრიასა და გერმანიაში მოგზაურობს.

კარლ ლიბკნეხტის სიტყვა.

გაზეთ. „ნოვო ვრემიას“ ატყობინებენ: ლიბკნეხტის სიტყვა პრუსიის პალატაში უკანასკნელათ წარმოთქმული წინან-

მსოფლიო ომი.

(დღიური).

კავკასიისა და ოსმალეთ-სპარსეთის ასპარეზზე რუსის ჯარი წინსვლას განაგრძობს: დაიკავეს ნავთსადგური რიზა, რომელსაც კარგა ხანია ზღვიდან ყუმბარებს უშენდენ და რომელიც ატინასა და ხოფის შუა მდებარეობს. ამ ნაირად შავი ზღვის ყველა ნავთსადგურები ტრაპიზონამდე რუსის ჯარის ხელშია. ატინაში გადაყვანილი დესანტი რაიონში დამკვიდრებას განაგრძობს და ტრაპიზონისკენ მიიწევს. როგორც დეპეშიდან სჩანს ამ რაიონის მკვიდრნი რუსებს მორჩილებით შეხვდენ. რუსის ჯარი სპარსეთშიაც წინ მიდის, თუმცა ნელი ნაბიჯით: ქერმანშაჰის ცოტა ქვევით ახალი პუნქტი, ქალაქი სენე დაიკავეს. მცირე აზიაში და სპარსეთში რუსეთის ჯარის ძლევამოსილმა მსვლელობამ მაჰმადიანებში შიშიანობა და მღელვარება დაბადა: განსაკუთრებით ქალები არიან შეშინებული, რის გამოც ისინი პეტიციით მიმართავენ სულთანს, რომ რუსეთთან სეპარატიული ზავი შეჰკრას. რუსეთის გამარჯვებით ბულგარელნიც შეფიქრიანდენ: მათ წარმოუდგათ, თითქო რუსეთის ჯარს ტრაპიზონის გზით სტამბოლში შესვლა და ბალკანეთში მოკავშირეების მიშველება შეუძლია. „შიშს დიდი თვალები აქვს" და სწორეთ ამით უნდა აიხსნას ყველა ეს მითქმა-მოთქმა და ცრუ წარმოდგენები. ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობს ოსმალეთის სამხედრო მთავრობა და იგი ახლა გამალებით აგზავნის ყველა მხრიდან არტილერიას და ჯარებს კავკასიისაკენ.

რუსეთისა და ავსტრია გერმანიის ფრონტზე ჩრდილოეთის და სამხრეთის ფრთებზე, დვინაზე და სტრიპაზე ყველგან საარტილერიო ბრძოლაა დაწყებული, აქა იქ შეტაკებებიც დაიწყო. ჯერ კიდევ გამორკვეული არაა ინიციატივა ვისია: რუსების თუ გერმანელების. უფრო შეიძლება ითქვას, რომ ახლაც ინიციატივა გერმანელების ხელშია რეველ-კოვნოს ხაზზე გერმანელებმა შეტევა დაიწყეს, მარა რუსებმა ისინი უკუ აქციეს. ამ ფრონტზე სხვა ადგილებში მხოლოდ საპოზიციო ბრძოლა და დაზვერვა ხდება.

საფრანგეთისა და გერმანიის ასპარეზზე. ვერდენთან განახლებული ბრძოლა გრძელდება. 23 თებერვალს ბრძოლა თითქო შენელდა: გაცხარებული შეტაკება მხოლოდ ჰოჰენცოლერნთა რედუტთან მოხდა: რითი დასრულდა იგი, ამაზე არაფერს გვატყობინებენ. სხვა ადგილებში ბრძოლას განაგრძობენ: მეზონდე-შამპანთან ფრანგებმა კონტრიერიში მოიტანეს და წართმეული სანგრის ერთი ნაწილი უკანვე დაიბრუნეს. ფრანგების არტილერიამ არგონებში ყუმბარები დაუშინა გზებს მონფოკონის რაიონში, რითაც გერმანელების ავტომობილების მისვლა—მოსვლას ხელი შეუშალეს. ცენტრში კი, ვერდენის ჩრდილოეთით. ცვლილება არ მომხდარა, თუმცა გერმანელნი საარტილერიო ბრძოლას წინანდებურათ განაგრძობდენ. მდ. მაასის დასავლეთის ნაწილში შეტაკებები არ მომხდარა, ხოლო აღმოსავლეთისაში გერმანელნი არტილერიის ცეცხლს ანთებდენ, განსაკუთრებით ვევრიან და სოფელ ფრენის მიდამოებში. გინოკურს ფრანგებიც უშენდენ ყუმბარებს. გერმანელების იერიში რკინის გზის ახლო ფრანგებმა არტილერიის ცეცხლით მოიგერიეს, ასე რომ გამარჯვების სასწორი დღეს ისევ ერთ წერტილზეა შეჩერებული. ბრძოლა წინანდებური ენერგიით გრძელდება. სასწორი ამ ორ—სამ დღეში გადიხრება და მაშინ ყველასთვის აშკარა გახდება მომავალი. ბალკანეთიდან ჩამი—ჩუმი არ ისმის. დანარჩენ ფრონტზე კვლავ სიწყნარეა.

* * *

დელ მის სიტყვებზე მკაცრი იყო. უპირველესათ ორატორმა ილაპარაკა დემონსტრაციების და არეულობების შესახებ, რომლებიც ხალხის დამშევით და ზავის წყურვილით არის გამოწვეული. ლიბკნეხტის ცნობით მრავალი ქალი დაატუსაღეს დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის. ბავშვებისა და ქალებში ომის გავლენით დანაშაულობა—გარყვნილება სულ უფრო და უფრო იზრდება. ყველა სამხედრო ციხეები და სატუსაღოები დამნაშავე ჯარის კაცებით აივსო. ჯარში კი დანაკლისის შესავსებათ ავაზაკები და დამნაშავეები გაგზავნეს, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ გერმანიის ჯარი დაპყრობილ ქვეყნებში ბარბაროსულათ და მხეცურათ იქცევა. ახლა გადახედეთ თვითონ პრუსიას, შესძახა ლიბკნეხტმა, რას დაემსგავსა ის.

აქ ახლა კრინტსაც ვერ დასძრავს ვინმე სიმართლისათვის. ომის შემდეგ ხომ თეთრი ტერორი გამეფდება, მაგრამ ს პყრობილედან გაგონილი სასოწარკვეთილი ხმები, საშინელ ბედის წინაშე უნებური წამოძახილით, ათასგვარი ტანჯვა და ძალმომრეობის მაგალითები პრუსიის ხალხს მათი ბინებიდან გამოიყვანს და რევოლიუციის გზაზე დააყენებს. მაშინ ხალხის ნება სურვილი იძულებულს გახდის მეომრებს ზავი შეკრან.

ინგლისის პრესის აზრი.

ლონდონიდან დეპეშით იუწყებიან: ინგლისის პრესა ვერდენთან შექმნილ მდგომარეობის გამო აღიარებს, რომ გარემოება მოითხოვს ფრანგებმა მთელი თავისი ძალღონე მოიკრიბონ და გერმანელნი უკუაქციონ და სამხედრო შტაბმაც იმდენი შორსმჭვრეტელობა უნდა გამოიჩინოს, რომ გერმანელთა გეგმა ახლავე ჩაფუშოს, თუ ვერდენთან დაწყებულ ბრძოლას მიზნათ აქვს სხვაგან სადმე უფრო სერიოზულათ მოფიქრებული შეტევის განზრახვა დაფაროს.

სეპარატიული ზავი.

სალონიკის გაზეთის გადმოცემით ოსმალეთის ამერიკელი დესპანი, მორგენტაუ ვითომ რუსეთს გაემგზავრა დიპლომატიური მისიის შესასრულებლათ ოსმალეთისგან დავალებულ საქმის გამოსარკვევათ. საქმე რუსეთთან სეპარატიული ზავის შეკვრას შეეხება.

ქრონიკა

რუსეთი.

პროგრესიული ბლოკის რეფორმატორობა.

სახელ. სათათბიროში სახელ. ბიუჯეტის სასარგებლოთ ხმის მიცემის და გადასვლის ფორმულის მიღების შემდეგ ბლოკი საკანონმდებლო მუშაობას შეუდგა. მისი მთავარი რეფორმატორობა სასოფლო ერობის შემოღებაში მდგომარეობს, რაზედაც მთავრობა კარგა ხანია თვითონ ლაპარაკობს. ბლოკმა თავის თათბირზე დაადგინა სახელ. სათათბიროში უპირველესათ სასოფლო ერობის კანონპროექტი გაიყვანოს და გაიყვანს კიდეც!

ხვოსტოვის ახალი კანონპროექტი.

შინაგან საქმეთა მინისტრი, ნ. ხვოსტოვი ამჟამათ ციმბირში ერობის შემოღების კანონპროექტს იმუშავებს. ამ კანონპროექტით ერობა მხოლოდ ორ გუბერნიაში—ტომსკის და ტობოლის იქნება შემოღებული, ხოლო ირკუტსკი, ენისეი და სხვები ისევ ძველებურათ უფლება მოკლებული დარჩებიან.

კანონპროექტი კოოპერატივებზე.

ამჟამათ სახელ. სათათბიროს კომისია კოოპერატივების შესახებ კანონპროექტს არჩევს. მთავარი პრინციპები შემდეგია: საფუძვლათ დაედება ერთი საერთო კანონი ყველა დარგის კოოპერატივებს, უნდა დაწესდეს განცხადებითი ფორმა ნებართვისათვის; უნდა მიეცეს ფართო უფლება, რომ კოოპერატივები დაუბრკოლებლივ შეკავშირდენ. კოოპერატივის მიზნათ აღიარებულ უნდა იქნას წევრების როგორც ნივთიერი ისე სულიერი კეთილდღეობა. ამ საზოგადო პრინციპების მიღების შემდეგ კომისია კანონპროექტის მუხლობრივ განხილვაზე გადავიდა. განიხილა ჯერჯერობით სულ 8 სტატია, რომლებშიაც ძალიან მცირე შესწორება იქმნა შეტანილი. კომისიის სხდომებს ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენლები არ ცხადდებოდენ, თუმცა მათ ყოველთვის იწვევდენ.

პურიშკევიჩის აღსარება ლექსათ.

ცნობილმა დეპუტატმა პურიშკევიჩმა სააღდგომო განთავისუფლება ითხოვა და სახელ. სათათბიროში კანცელარიას შემდეგი ლექსათ დაწერილი განცხადება წარუდგინა:

„სიტყვას საქმე სჯობს, მე ამასა ვცნობ. ამიტომ ვტოვებ პეტროგრადს: სათათბიროში მხოლოთ სიტყვაა და ამას კი მე გულით უარვყოფ!"

ქ. ქუთაისი, 26 თებერვალი.

კიდევ გაერთიანების შესახებ ნათქვამია: ცალ-ცალკე მომჩივანი, ბატონს ორივე მართალი ეგონაო"—სწორედ ამ საარაკო ბატონის მდგომარეობაში უნდა იყოს ჩვენი „ცნობილი მიმართულების" გაზეთების მკითხველიც, ვინაიდან ამ მიმართულების გაზეთები („სახ. ფ." „ზვირთი" „მეგობარი") ხანდახან ისე მოიკატუნებენ ხოლმე თავს, გეგონებათ, მათის პირით თვით ჭეშმარიტება ლაღადებსო, მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით მათ ნათქვამს, თუ დავუკვირდებით იმ გესლსა და შხამს, რომელსაც ეს გაზეთები ანთხევენ თავის მოპირდაპირის მოსაწამლავათა და დასამცირებლად, დაგვეთანხმებით, რომ, თუ ვინმე ხელს უშლის ქართველების გაერთიანებას, სწორედ ეს გაზეთები არიან მიზეზნი და სხვა არავინ!

მაგრამ, ვიდრე ამ ჩვენს აზრს მაგალითებით დავასაბუთებდეთ, ნებას ვაძლევთ ჩვენ თავს გულ ახდილად მოგახსენოთ, რომ ჩვენ არც ერთ „ცნობილ მიმართულებას" არა ვსთვლით **ქართველი ხალხის**, როგორც **ერის**, როგორც **მთლიანის**, **ერთეულის** გულის ნადების გამომთქმელად და მესვეურად. არა ვსთვლით იმიტომ, რომ ქართველი ხალხი ქართველი ერი, როგორც საკუთარი ისტორიისა და იდეალის მატარებელი, ძალიან შორსა სდგას ამ „მიმართულებაზე".

ქართველი ხალხი, ქართველი ერი, როგორც ეგეთი—(იმერელი, მეგრელი, გურული, სვანი, რაჭა-ლეჩხუმელი, ქართლელი, კახელი, ინგილო, ფშავი, ხევსური, თუში, მოხევე მესხი, ლაზი, აჭარელი, ქობულეთელი, და სხვადასხვა კუთხის ქრისტიანე, თუ მაჰმადიანი ქართველი)—მას შემდეგ, რაც საქართველომ დაჰკარგა თავისი პოლიტიკური სახე და ეკონომიურადაც ჯერ ისევ თითქმის პირველ ყოფილ მდგომარეობაშია, ჯერ ვერც მიხვდება და ვერც გაიზიარებს იმ მაღალ ფარდოვანებას, რომელსაც ეს „მიმართულებანი" შეჰფარებიან და რომელსაც ასე გვაყვედრიან იმათ, ვისაც მათი მოძღვრება მხოლოდ მათ პირად განდიდებათ მიგვაჩნია.

ჩვენ ნაწილები, დიდი
ყალიბის ინტელიგენცია,
უცხო ქარხანა-ფაბრიკ
ტად თუ ბევრად
ქარ-ვაჭარი ქართველები სრულ
არ წარმოვადგენთ ქართველ ხალხს,
ვართ ერთი წვეთი იმ დიდი ზღვის,
ტებისა, რომელსაც ქართველობა ეწოდ
და, მაშასადამე, ჩვენი ესა თუ ის
მართულება" მხოლოდ პირადი ჩვენი
ლის თქმაა და არა გულისთქმა
პროცენტისა—მთელის ქართველობის,
რომელიც სრულიად მოწყვეტილია
ღნასა და კულტურას.

იმ დროს, როდესაც ჩვენ, სხვადა-
ჯურის ინტელიგენტები, ნოქარ-მუშ
თუ სხვა ასეთი ქართველები, ერთმან
თავ-პირს ვამტვრევთ და ერთმანეთის
მცირებასა ვცდილობთ, ქართველ
99 პროცენტმა არც კი იცის, რა ხდ
ქვეყანაზე და ყველასაგან მიტოვებ
უვიცი, უმეცარი, მშიერი, მწყურვ
უპატრონო, უანბანო, უწიგნო,
დარაჯების სათამაშოდ და საკრეჭად
ხდარა...

იმ დროს, როდესაც ჩვენ ყველა ჯუ
ინტელიგენტები და მოწინავე ნოქარ-
ხელოსნები, ციდან ვარსკვლავებს ვ
კებით ერთმანეთს პირში ბურთსა ვჩრი
გაზეთის ფურცლებს ლანძღვა გინებ
და შხამით ვავსებთ,—ეს ჩვენი გაზ
და ორომტრიალი ქართველობის 99 პ
ცენტისათვის მიუწვდომელი და უც
ბარია...

იმ დროს, როცა ჩვენ ყველა ჯუ
და ფორმაციის „მოწინავენი" თბილ
გილისა თუ პირად უფლების (და
რად, ჯგუფურ უფლების!) ხელში ხ
დებათ ერთმანეთს არ ვინდობთ, ქარ
ლობის 99 პროცენტი ცრუ მორწმუნ
ბისა და უილაჯობის მორევში იხრ
და თან კი ვიკვეხით: „ხალხი ჩემია, ხ
ხი მე მიგდებს ყურსაო".

განა სატირალი თუ არა სასაცი
არ არის ასეთი ჩვენი ბაქიაობა, რა „
მართულებისაც" არ უნდა იყოს თით
ული ჩვენგანი?

მაშასადამე, ჩვენ თუ გვინდა ჩვენი ქ
ყნის ხსნა, პირველ ყოვლისა ჩვენ უ
დავივიწყოთ ჩვენი პირადი „კაპრიზები,
უნდა მივხედოთ აი იმ უპატრონო
პროცენტს ქართველობისას, რომელ
ჩვენის გულზვიადობის მეოხებით, ს
ლიად დავიწყებული გვყავს.

აი, სად უნდა ვეძიოთ **ნიადაგი გა**
თიანებისა, საფუძველი ყოველგვარ
ლებისა და ბედნიერების მოპოვებისა.

მაგრამ, განა ჩვენ ასე ვიქცევით?
მას შემდეგ, რაც ჩვენ ჩვენი თავი
მოგვიდგენია „ღმერთად" ხალხისა და
ხალხს კი გავურბივართ, უფლება კი
რაიმე გაერთიანებაზე ვილაპარაკოთ?

აბა, სულ ქვეშ გვიბრძანეთ რომ
„მიმართულებას" არ მიუძღვის დანაშ
ლი ხალხის წინაშე?

ვაჟა-ფშაველა.

(კრიტიკული წერილი).

ვაჟა-ფშაველა იშვიათი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში. მისი ბედისწერა ფრიად წააგავს ბარათაშვილისას. განსხვავება მეტად მცირეა: თუ ბარათაშვილი ფეხ-მალმა ჰკუნემ გაიტაცა და უჩინარი ჰყო იმ დროინდელ შორს ჰვრეტაგანუვითარებელ საზოგადოებისათვის, ვაჟა ფშაველა სიკვდილის შემდგომაც სათეატრო დეკორაციად დაგვრჩა, მზერით ვუმზერთ ცად აზჯენილს მის ბუმბერაზ ჯედს, მაგრამ შემცნობით არა გვესმის რა მისი ლალი, თუ გნებავთ, ველური გენიოსობის. იგი საიდუმლო იყო, შეუმცნობელი და საიდუმლოდ რჩება დღესაც არა თუ უმრავლესობისთვის, არამედ ვიწრო წრისათვისაც კი, ვისაც ასე თუ ისე გემოვნება გაჰფაქიზებია და პოეზიის ავკარგიანობისა ესმის რამე. ასეთი ყოფილა დიდ ბუნებოვან ადამიანის ტრაგედია, ასეთი დარჩა ვაჟას ბედიც.

ვაჟა აუცილებლივ შორეულს ეკუთვნის. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მისი ვარსკვლავი ჯერ არც კი აციმციმებულა. ის დროს მოელის, დროს, ჩვენს სულიერს გარდაქმნას, ჩვენს ახალს შობას, გაჯანსაღებას. მის თხზულებათა ანდამატივით მიმზიდველი ფურცლები თვალწინ გიდგენდ უცნაურს წალკოტს, ხადაც ყოველს ბორცვს, ქალაკს, ზურმუხტის მდელოს, კოღოზე მიფენილს იაზამბახს, თუ მაისის ვარდს, ფოლადის ფერი დასდებია და წვეთ-წვეთობით მხოლოდ ერთ ჩანჩქერის ცვარნამით იბკურებიან-ვაჟას მწველი ცრემლებით! ძათს შორის მონავარდე ვაჟას სული, ეს ტროპიკულ გრძნებით მქროლავი ქარიშხალი, დაეძებს არა პიროსის მარმარილოს, არამედ იგი დაეძებს ვულკანისაგან გადმოქცეულს ბრინჯაოს, თუ გნებავთ ფშაურს კლდეს, რომ მის სალს გულით ამოჰკვეთოს თვის ოცნებათა ოცნების სახე და, ვით ნაძვნარის კეთილი სურნელოვნება, ნელ-ნელ აუქმიოს მყინვარმწვერვალთა ფიქრის დრუნლებს.

ვაჟა, დიდი ვაჟა, მყინვარია, მისი სიტყვა—მყინვარის ფიქრით დანაკვესი ელვის ისარია.

ნუ იფიქრებთ ცრუ სწავლის, ცრუ მეცნიერება-ფილოსოფიას დაემძიმებინოს მისი ნიჭის ფრთით გადაშლილი პოეზიის ფურცლები და ამიტომ დაგვშორებოდეს, არა! იგი მხოლოდ ერთს წიგნს იცნობს და ეს ერთიც დიდ ბუნებოვანი ხალხის გულია ეს გენიოსობის დაუშრეტელი საჰუნჯე. ვაჟა მხოლოდ ამ სასმისით ჰსვამდა აპოლონის მათრობელა ნექტარს, მხოლოდ ამ ნექტარის სიტკბოებით იყო ალგზნებული და ცეცხლის ალად გარდაქმნილი.

ლაღი და ძალოვანი, მოკრძალებული და ურიგსად მორცხვი რაინდი იგი ერთსა და იმავე დროს სასტიკი რეალისტიცაა მისტიკოსიც, მეჰმუნჯარე პესიმისტიც და საოცარი ოპტიმისტიც! შესაძლებელია მას არა თუ არ შეესწავლოს, არამედ არც კი წაეკითხოს აზროვნების დამამშვენებელი ძველი თუ ახალი კერპები, მაგრამ ყველას ძმობილი კია, ყველას სულს იცნობს, ყველას ენათესავება. საღმრთო ცეცხლით ათრთოლებული მისი შემოქმედება სადაა, ვით თვით ცხოვრება, მჭეფრი და ძალოვანი, ვით იმავე ცხოვრების დაუდალავი ენერგია, მასავით გამჭვირვალე, მისებრ ღრმა, შეკუმშული და კაჟის ნაპერწკლად დაკვესილი ღვთაების ცეცხლი.

ვაჟას პოეზიას ჯერჯერობით ეგზოტიური ელვარება ჰმოწმობს მხოლოდ ჩვენს დაავადება-გადაგვარებას, ჰმოწმობს იმ უფსკრულის ამართვას, რაიც ჩვენსა და ხალხის შუა გაევლო. ვაჟას გასაგებად საჭიროა ჩვენც ხალხში მივიდეთ, ვისუნთქოთ სადი ბუნების ჯანსაღი ჰაერი, გავიზიაროთ ხალხის ტანჯვა, იმის სიხარული, გავეცნოთ მის ბედს, უბედობას და მაშინ, მხოლოდ მაშინ მივხვდებით ვაჟას უცნაურს უცხოობას, რომ იგი მახლობელი არც ისე რიგად შორეულია, ჩვენია, ჩვენიან მყოფი, მაგრამ ჩვენგანვე დაშორებული.

ვაჟას მიუწდომლობა და დაუფასებლობა ჩვენი მცონარეობის ბრალი გახლავთ!.

ვაჟამ პირველ პოემებიდანვე გადაგვიშალა თავისი გული ვიდრე სულ პირველი მისი პოემა „მოხუცის ნაამბობი". მართალია, ვაჟამ პოემის ანტურაჟი ლერმონტოვის „ბოროდინოდან" ისესხა, მაგრამ ქედანაც ნათლად სჩანს, თუ საით იხრებოდა ჩვენი მგოსანი. აქაც ძველი გმირი „ბოროდინოს" ინვალიდსავით მოუთხრობს ძველ—გმირთა საარაკო თავგანწირულებას. იქ თხრობის საგანი მოსკოვის გადაწვაა, აქ კი თბილისისა; იქ თუ რკინის სარდალი ნაპოლეონი ანგრევს რუსეთის გულზე ამართულს სიმტკიცის კარის ბჭეს აქ საქართველოს კარის ზღურბლს გადმოპლახვას ალამადებიან. მაგრამ ფერადები, სურათთა ძალოვნება ხშირად ლერმონტოვისას აღემატება. ვაჟას საყვარელი გმირი ერეკლე ფრიად წარმტაცი ხაზებითაა ნახატი. ავტორს სული და გული ჩაუქსოვებია, რომ გმირი არწივის აზრდილი დღევანდელ გაჩრდილებულ შთამომავლობას მთელის თვის სიდიადით დაანახოს. მთელი სურათის კოლორიტი მზრუნველობითაა შეზავებული, დიდის სიფრთხილით მოხაზული, რომ მართლა თქვენც მოიხიბლოთ, გაიგოთ მოხუც რაინდის თილისმური თვისება, ვის ძახილზე მთა და ბარი ფეხზე დგებოდა და განწირულებით მოჰქროდა მასთან ერთად სიყვარულის გასაზიარებლად. ერთი უყურეთ, სურათის მუსიკა როგორის ტემპით გაფრთოვანებთ, როგორ სიცოცხლეს გაგრძნობინებთ, როგორ გამხადებთ საბრძოლველად:

„თითო ისეთი მოსჩანდა,
როგორც ვეშაპი ცხენზედა,—
ზღვითი იმათი ზღვას ჰგავდა,
კლდე [illegible] მკერდზედა.
ერეკლე ცხენზე მშვენოდა,
მაგ [illegible] მაღლარი,
უხდება მეფეს არწივსა
შუბლ[illegible] სახე მართალია,
მთელი სიტურფე ქართლისა
იმას [illegible] მხრებზედა,
როგორც [illegible] მთვარისა
ილ[illegible] ზედა"...

ასე აგვი[illegible] ვაჟა თავის გმირებს და საყვარელ ერეკლეს სურათს, როდესაც ყველანი [illegible]ში არიან, ხმლის ლესვენ, ერთმანეთს [illegible] ალიან, ერთი სიტყვით, [illegible] ბრძოლის წინასწარ მზადებაა, [illegible] თითოეული მათგანი

„რკინასა იცმენ ტანზედა,
მუზარადს იდგმენ"...

მაგრამ ვაჟას ენტუზიაზმი უეცრივ
რება, გმირთა ქების კანონიერებას გვ
სენებთ და სიამით შევნიშნავთ:

„არწივთა მაღლის მთისათა
ნეტავ რად უნდა მქებარი"-ო...

დიაღაც, არწივთ ქებანი არ ესაჭირ
ბა, და ვაჟაც პირდაპირ მოქმედებაზე
დადის. აგერ დაეშვება ლაშქარი, საშ
რი სანახაობა. არაგვის პირად მგზავ
შემოსძახებენ და ანდერძს უტოვებენ ჩვე
წარსულის მოწმეს:

„არაგვო, უყარაულე
ომში მიმდინარ ლაშქარსა,
თუ ვინმე გამოქცეული
ურცხვად მიადგეს შენს კიდეს,
ლაფი აჰამე შერცხვენილს
რომ სახლში აღარ მივიდეს"...

ნამდვილი რაინდული ფიცია! მაგრ
ფიცზე არანაკლებ საინტერესოა თვ
ბრძოლის სურათიც. აქ ვაჟას ხელოვ
ბამ კლასიკურ სიმაღლეს მიაღწია:

„[illegible]ალთ სტვენას, ცხენთა ჭიხვინ
აანს აძლევს სისხლის ჩხრიალი,
და თავ მომწონე დროშებსა
ჰაერში გააქვს ფრიალი.
აბრეშუმზედა ნაკერი
ბრწყინვალებს ჩვენზე ჯვარია,
იმისი შემაქცევარი
იბრძვის ქართველთა ჯარია"... და
სხვ.

ასეთია ეს პირველი პოემა ვაჟა ფშაველასი, ეს პირმშო ქალწული მისი მგზ
ბარე ნიჭისა. ამონაწერიდანაც აშკარ
სჩანს, ვის, ან რად ეტრფოდა ვაჟა
ზე, ვის ან რად უდარიდა გულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშასადამე, ჯერ თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ამოიღოს დვირე თვალთაგან თვისსა და მერე ისე ვახსენოთ ჩვენი კაიკაცობა.

ამ ბოლო დროს გაჩნდა ჩვენში ერთგვარი სურვილი ყოველივე შეძლებულის განზე გადადებისა, ვიდრე ქართველ ხალხს არ მიენიჭება ძალა ცოდნისა და ეკონომიურად გაღონიერებისა. გაჩნდა, თუ გნებავთ, ჯგუფი, დასი, ხალხის ცხოვრების რეალურ გზაზე შეყენებისა. ამ ჯგუფს, ამ დასს დახმარება, გამხნევება, მხარის მიცემა სჭირია, მაგრამ ამის ნაცვლად ჩვენ მხოლოდ ვხედავთ გესლსა და შხამს ამ ჯგუფისადმი მიმართულს.

რათა?

იმიტომ მხოლოდ, რომ აქამდე „ცნობილ მიმართულებათ" ვერ მოუტოვებიათ თავისი ბატონობა და იმდენი ვერ წარმოუდგენიათ, რომ საქმე სიტყვაში კი არ არის, საქმე საქმეშია და ერთობას, ძალას, უფლებას შექმნის არა ამა თუ იმ ჯგუფის მაღალ საგნებზე მჟღერალობა და ფაფხური, არამედ მთელი ერის გამოფხიზლება, გათვითცნობიერება და ქონებრივ-გონებრივათ გაღონიერება.

ამისთვის კი საჭიროა: სკოლები, გზები, მრეწველობა, ვაჭრობა, მეურნეობა, ცოდნა, სწავლა, სახალხო წიგნები, მკურნალობა, იურიდიული და ზნეობრივი დახმარება, კრედიტი და ადებ-მიცემობა; საჭიროა თავგანწირული მუშაობა სოფლად და ქალაქად, მთასა და ბარში, ხევებსა და ტყეში, საჭიროა დაახლოვება ერთის კუთხისა მეორესთან, მეორე თემის მესამესთან; საჭიროა მცოდნემ ასწავლოს უცოდინარს, ხელოსანმა—უბირს, მღვდელმა—მრევლს, მასწავლებელმა—გლეხს, გლეხმა—შვილს, შვილებმა—თავის შთამომავალს და ასე ამგვარად გაიბას საბელი ერთობისა, ძმობისა და სიყვარულისა!..

მაგრამ ყველა ამას უნდა მსხვერპლი, მსხვერპლი დიადი და სადმეთო, საერო, ყველა ამას მოსდევს პირად ფუფუნებისა და ბატონობის უარყოფა, რასაც ვერც ერთი ჩვენთაგანი სავსებით ვერ ეთვისება.

აი, სად არის „ხიდი ჩატეხილი" აი, სად არის დასაწყისი ჩვენი საერთო, საერო უბედურებისა და დასაბამი ჯგუფურის ყოყლოჩინობისა.

ჩვენ არა გვწამს არავითარი მიმართულება, გარდა ერთისა. ეს მიმართულება—ის მიმართულება, რომელიც მიგვიყვანს ხალხის გულთან, ეს მიმართულება ის მიმართულება, რომელიც შეგვაერთებს ხალხთან.

ამ მიმართულების გარეშე არ არის ხსნა, თუ, რასაკვირველია, ხსნას ვეძახით მთელის ხალხის კეთილ-დღეობას და არა რომელიმე ჯგუფის გაბატონებას.

დღესდღეობით კი მხოლოდ ესა თუ ის ჯგუფია გაბატონებული და ვიდრე ეს ასე იქნება, ყოველივე ჩვენი ოცნება ოცნებათ დარჩება, მხოლოდ ჩვენი ხალხი კი—დამცირებული და მუდამ სხვის ხელის შემყურებელი იქნება, თუნდა სხვებმა დიდ ბედნიერებასაც მიაღწიონ!

რას იყვედრებიან „ცნობილი მიმართულების ჯგუფები", ან რაშია მათი შეცდომა და უდიერობა, ამაზე შემდეგ.

გვინით დასერილს შუბლს, ვის იბდიდა სალოცავ ხატად, ანუ შემდეგში საით ან ვისკენ იქნებოდა გადახრილი მისი შემოქმედებითი ნიჭი. იგი თავს ისე ჰგრძნობდა, როგორც სამშობლოს რწმუნებული დევ-გმირი მებუკე, როგორც განწირული რაინდი, როგორც ცეცხლის მფრქვეველი ამირანი. მთის კურთხეულმა ბუნებამ ბუმბერაზ ჰყო მისი ლალი და თავშეუკავებელი მგოსნური ნიჭი. მთელი სიტურფე და პოეზიის მხატვრობა კონცენტრულად მოჰფეთქს ამ პირველ პოემიდანვე. მაგრამ აქ მარტო ერთი პოეზიის სიკეკლუცე კი არ არის საგულისხმიერო, არამედ ის, რომ აქიდანვე ვაჟა გვეჩვენება ჩაჩქან ჩაცმულ რაინდად. მთამ, ფშავთა ხალხურმა ლალმა სიმღერებმა თვის სადა და მარტივი ფერადებით. ასწავლა ამას ჯანსაღი და მართებული ზულითადი გრძნობის ხატვა, რის გამოც მისი პოეზია დარჩა განკერძოვებული ხასიათის პოეზიად, რომლის მსგავსი ისევე ძმათა რაზიკაშვილები თუ იპოვება თორემ ბარელთა შორის ვერც ერთს ვპოვებთ. აი, ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, თუ ვაჟას პოეზიაში გვხვდება ბევრი რამ ბარბაროსული, როდესაც ვაჟა ველურის აღმაფრენით შეჰხარის მოხუცს, ომის სურათების აღმხატველს:

„ომი ქორწილი მეგონა
სისხლის რუ-წყარო მდინარით!"

მიუხედავად ამისა ვაჟა მაინც არა თუ ჩვენი სამშობლოს რწმუნებული რაინდი და მგოსანია, არამედ იგი რაინდი და მგოსანია ჩვენი ისტორიისაც.

დ. კახრაძე.

შემდეგი იქნება.

ქართული პრესა.

ჩვენს მკითხველებს ალბად ეხსომებათ ის არა სასიამოვნო და ქართველებისაგან დაუმსახურებელი კიცხვა, რომელიც გვაკადრა დ. ხაშურის კომენდანტმა გ—მა. ამის გამო ჩვენ ორი თუ სამი წერილი დავსტამბეთ და ვიმედოვნებდით, რომ ქართველი მარშლები ჯეროვან ყურადღებას მიაქცევენ გ—ის საქციელს, მაგრამ, როგორცა სჩანს იმედი არ გაგვიმართლებია.

აი რასა სწერს ამის შესახებ გაზეთი „საქართველო".

ქართველი ჯარისკაცებისა და ოფიცრების სანიმუშო გმირობა რუსეთის უმაღლეს სარდლობის წარმომადგენლებს არა ერთჯერ აღუნიშნავთ. თავდადება, საკუთარი სიცოცხლის შეწირვა,—ამაზედ მეტი საბუთი მოვალეობის უმწიკვლო შესრულებისათვის, სად გაგონილა?! მაგრამ ჩვენ ეს მხარე არ გვაინტერესებს. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხაშურის ქართველ საზოგადოებას სრულიად სამართლიანი აღშფოთება შეუმჩნევლად დარჩა, რომ ამ საზოგადოების ხმამ ვერ მიაღწია სადაც ჯერ იყო, ვერ მიაღწე, რადგან ქართველი მოწინავე წოდების წინამძღოლმა, რომელთაც ეს ამბავი საგანგებოთ ეუწყა, ყურიც არ გაიბერტყეს, და ვის უნდა გაეგო უკეთ ხაშურის ქართველობის კანონიერი აღშფოთება, თუ არა იმ წინამძღოლს, რომელმაც მთელი გუბერნიის თავად-აზნაურთა საქმე იმიტომ მიატოვა, რომ მოქმედ ჯარში წასულიყო და იქ რუს კოლეგებთან ერთად თავი დაედვა?

ბ-ნ კომენდანტის სიტყვას ამ წინამძღოლის გრძნობა კიდევ უფრო უნდა შეეხალა, როგორც ქართველი მეომრისა და მასში უნდა აღეძრა კანონიერი სურვილი შეურაცხმყოფელ ინსინუაციის წინააღმდეგ შესაფერ ზომის მისაღებად. ვსთქვათ, ეს პირადი ხასიათის საქმე იყო და წინამძღოლსაც, როგორც პიროვნებას შეეძლო ამისთვის თავი არ შეეწუხებინა. მაგრამ ბ-ნ კამენდანტის სიტყვა ხომ ქართველებს ეხება საერთოდ. ხოლო ქართველობის გრძნობას დაცვა უნდა ყოველს დროსა და პირობებში. იმ ქართველმა საზოგადოებამ, რომელმაც მოისმინა ბ-ნ კამენდანტის სიტყვა, თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და მოისურვა პასუხის საგებად გამოეყვანა უსაბუთო ბრალმდებელი. ამ მიზნით ხაშურის ქართველობამ ორივე გუბერნიის წინამძღოლებს მიმართა და სთხოვა შესაფერი ნაბიჯი გადაედგათ. შეუძლებელია, უყურადღებოდ დატოვება ასეთი ინსინუაციებისა. ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში დეპუტატთა საკრებულო ჯერჯერობით ერთად-ერთი ინსტიტუტია, რომელსაც ხმა ყოველგან მიუწვდება და ყოველგან ოფიციალურად მიესვლება. ამ დაწესებულების მთავარ პერსონაჟებს ჰმართებთ ქვეყნის ღირსება და ინტერესი თავგამოდებით დაიცვან ყოველგან და ყოველთვის. ეს მათი პირდაპირი მოვალეობაა. ჩვენთვის გაუგებარია, როდესაც ამ მოვალეობის მიფუჩეჩება სისტემად არის გადაქცეული!

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

საზ. სათათბიროში საგანგებო კომისიამ საჭიროდ ხცნო საჩქაროდ შემოღებული იქნას ამიერ კავკასიაში საერობო მმართველობა.

✶ საბიუჯეტო კომისიამ შეიწყნარა მიწათ მოქმედების მინისტრის წინადადება თურქესტანის საგუბერნატოროში მიწების ექსპლოატაციის შესახებ, სადაც უმეტეს წილად განზრახულია ბამბის წარმოების მოწყობა.

✦ პეტროგრადიდან თბილისს ჩამოვიდა სადეზინფექციო რაზმი და გაემგზავრა სარაყამიშისაკენ. რაზმი აქედან არზრუმს წავა.

✦ ამ დღეებში კიევის სამეურნეო კურსების მსმენელი გ. მ. ხაინდრავა წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე „დღევანდელი საერთაშორისო მსოფლიო ომი". დაწვრილებითი პროგრამა ასეთია: 1) ვაჭრობა-მრეწველობის ისტორიიდან. 2) ევროპის ეკონომიური პოლიტიკა 3) კოლონიალური პოლიტიკა 4) მილიტარისტული ორგანიზაცია. 5) მომავალი ზავის გარშემო; 6) ჩვენი ქვეყნის ეკონომიური მიმოხილვა. და 7) რა აბრკოლებს ჩვენში მეურნეობის აყვავებას.

ლექცია წაკითხული იქნება. თეატრში, ფასები ხელმისაწვდომია. 1 მ. 10 კ-მდე.

✦ რედაქციამ მიიღო პროფ. ივ. ჯავახიშვილის ახალი წიგნი: „ისტორიის, წყაროები და მეთოდები წინად და ეხლა წიგნი პირველი ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (5-18 საუკ. ს.) ქართ. გამომც. ამხანაგობის გამოცემა. წიგნში 400 მდე გვერდია და ღირს 2 მან. და 10 შაური.

● ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ სამმართველოს ცნობა მიუღია ბორჩალოს მაზრის თავის განყოფილებისგან, რომ სოფ. რენას (ბორჩ. მაზრა) მცხოვრებნი თანდათან ჰკარგავენ სამშობლო ენას, ამისათვის იქაური განყოფილება სთხოვს მთავარ გამგეობას სათანადო ზომების მიღებას და აგრეთვე შუამდგომლობას ეგზარხოსის წინაშე, რათა რენას დაინიშნოს ქართველი მოძღვრები.

● **ტყავის რეკვიზიცია.** კავკასიის ოლქის მთავარი სამმართველოს უფროსის გენერალ-ლეიტენანტის ვოლსკის განკარგულებით გამოიცა შემდეგი სავალდებულო დადგენილება: ტყავეულობის ყველა მაღაზიის პატრონები, სხვადასხვა კერძო ბანკებისა და საზოგადო დაწესებულების გამგეები ვალდებულნი არიან წარუდგინონ ადგილობრივ საპოლიციო სამმართველოებს დაწვრილებითი ცნობები, თუ რამდენი ტყავი აქვთ მათ საწყობებში, რომელიც გამოსადეგარი იქნება სალდათის წაღებისა და მოწყობილობისათვის. აგრეთვე უნდა აღნიშნონ მათი დამზადებული საქონლის რაოდენობა. თუ ვინმემ დამალა, ნახვისათანავე პოლიცია ჩამოართმევს და უფასოთ გადაეცემა სახაზინოთ. ვინც პოლიციას წარუდგენს ცნობებს დამალული საქონლის შესახებ, მათ მიეცემათ 10% საქონლის ღირებულებისა. აგრეთვე ყველა ვალდებულია დღიდან ამ განკარგულების გამოცხადებისა ორი დღის ვადაში წარადგინონ აღნიშნული ცნობები. ამის შესახებ ქუთაისის გუბერნატორმა ბრძანება დაუგზავნა გუბერნიის ყველა მაზრის უფროსებს და პოლიცმეისტერებს დაუყონებლივ წარმოადგინონ დაწვრილებითი ცნობები.

✦ დღეს, საღამოს 7 საათზე, ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა დარბაზში მოხდება პირველი სხდომა ქუთაისის ახალი თეატრის ამშენებელ ბიუროსი, კრებას დაესწრება ადგილობრივი დრამატიული საზოგადოების გამგეობა თავის შემადგენლობით და საორგანიზაციო კომიტეტისაგან 7 წარმომადგენელი.

● სოხუმის ქალაქის თავი სთხოვს ქუთაისის ქალაქის მოურავს, გაუგზავნოს მას ქალაქის აფთიაქის ანგარიშები და ხარჯთ-აღრიცხვა, რომ ამით იხელმძღვანელონ სოხუმის ქალაქის აფთიაქის რეორგანიზაციის მოსახდენათ.

✦ როგორც ბათომიდან გვატყობინებენ, აჭარის 12 სოფელი იჯარით აუღია ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილებას.

● ქუთაისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას წარიდგინონ მოქმედების ანგარიში საბჭოს მიერ არჩეული კომისიისა, რომელიც განაგებს ქუჩების სახლის დამრქმევ და ნუმრების განაწილებას.

● მოვაჭრე ჩარჩებმა უკვე დაიწყეს უვარგისი აბრეშუმის თესლის ყიდვა. საჭიროა ჯეროვანი ყურადღების მიქცევა, ვისგანაც ჯერ არს, რომ საწყალი გლეხები არ მოატყუონ.

✦ ამას წინად თანახმად თბილისის ქუჩის მცხოვრებთა შუამდგომლობისა ქალაქის გამგეობამ დაადგინა რომ ამ ქუჩაზე არსებული შეშის საწყობები გადაეტანათ ქალაქს გარეთ. საწყობების მეპატრონეები უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდენ და თავისი მხრით შუამდგომლობენ ქალაქის გამგეობის წინაშე, რომ თავის დადგენილება შესცვალოს. თავის შუამდგომლობას იმით ასაბუთებენ, რომ ამ ქუჩაზე ბევრი ღარიბი ოჯახი ცხოვრობს და გარეთ უბნიდან შეშის მიტანა გაუძნელდებათ.

სოფლად.

— სოფ. ნოსირი (სენაკის მაზრა), აქ ერთ-თვის წინათ დაიწყო მოქმედება კოოპერატიული მომხმარებელ „შრომის-კავშირის" განყოფილების ამხანაგობამ პირველი დაწყებითი ნაბიჯი გადადგა ფურნით 21 თებერვალს მოხდა ამხ-ბის საზოგადო კრება, კრებამ აირჩია ახალი გამგეობა და საბჭო, კრებამ გადასწყვიტა განყოფილებას თავი დაანებოს და საკუთარი წესდება გაუგზავნოს გუბერნატორთან დასამტკიცებლათ სახელწოდებით „მომავალი".

8 თებერვალს აქვე მოხდა საკრედიტო ამხ-ბის წლიური კრება, კრებამ დაამტკიცა გასული წლის ხარჯები და აირჩია გამგეობა და საბჭო ახალი წევრებისაგან. გამგეობის წევრებში აირჩიეს ისევ გამგეთ ნამყოფი და ამავე ამხანაგობის დამფუძნებელი ბარნაბა ძველია, რომელიც ეს მეხუთე წელიწადია განაგებს ამხ-გობის საქმეს.

ერობა ამიერ კავკასიაში.

როგორც პეტროგრადის საგენტო დეპეშამ გვამცნო, სახელმწიფო სათათბიროს საგანგებო კომისიას სასურველათ უცვნია ამიერ კავკასიაში დაუყონებლივ შემოღებულ იქნას საერობო მართველობა.

დიდი ხანია ამიერ კავკასია და კერძოთ ჩვენი სამშობლო საქართველო საჭიროებდა ასეთ რეფორმას, მაგრამ დღემდი რუსეთის მთავრობა კავკასიას მოუმზადებლათ სთვლიდა და ერობის შემოღებას აგვიანებდა. ვინც კი თვალს გადაავლებს ერობის ისტორიას ჩვენში, ნათლად წარმოიდგენს მთელ იმ შრომას, სიტყვით თუ საქმით, რომელიც ერობის შემოღებისათვის დაიხარჯა. ჩვენ ჯერ დანაწვრილებით არ ვიცით თუ როგორის სახის იქნება ხსენებული საერობო მართველობა, გვახსოვს, რომ ხსენებულმა საკითხმა თავის დროზე დიდი დაუსრულებელი კამათი გამოიწვია (გაიხსენეთ 1861 წ. საერობო პროექტი) ახლაც არ ვიცით კერძოთ ჩვენი ცხოვრებისთვის, როგორი მალამოს მომცემი იქნება სახელმწიფო სათათბიროს შემუშავებული ერობა, მაგრამ გადადგმულ ნაბიჯს მაინც დიდის იმედით ვეგებებით და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მოღვაწენი ერობის საკითხს კვლავ მეტის სიმუყაითით დაუბრუნდებიან და ეცდებიან ისეთი სახის ერობის შემოღებას, რომელიც ჩვენს მრავალ ტანჯულ სამშობლოს სარგებლობას მოუტანს.

პატარა ფელეტონი.

სიჩუმეა.

(თარგმანი).

სიჩუმეა...

გარშემო არავითარი ხმაურობა არ ისმის. თითქო ყველაფერს სძინავს, თითქოს ყველანი დაიხოცნენ.

და აი ტყე, მოგირავს მთიდან ტალღებივით.

და იქ, ქვევით, თეთრად ქათქათებენ ქოხები... და ცისფერად მოიკლაკნება მდინარე...

სიჩუმეა...

ხუ!

შეიძრა ჰაერი.

და ისევ—სიჩუმე, სიჩუმე, სიჩუმე!

მოისმოდა მსუბუქი ხმა, როგორც კვნესა მისუსტებული ავათმყოფისა, როგორც რაკრაკი პატარა მოჩუხჩუხე მდინარისა, როგორც...

საიდგან ისმის?

მთიბავების ნაღი ხომ არ არის, ტყის იქით მდინარის თავზე, უნდა, მთიდგან ურმების ბორბლების ჭრიალის ხმა ხომ არ მოგვიტანა ქარმა?

ისევ სიჩუმეა...

და ამ სიჩუმესთან ერთად მოისმის საიდუმლო ხმა.

ისინი არა სჩანან, მაგრამ გარშემო ჰაერივით, სინათლესავით გაფანტული არიან, მზის სხივებში ცახცახებენ თითქოს მასთან ერთად ჩაქსოვილნი.

ისინი არა სჩანან...

მაგრამ მაგიერათ მთელი გუნდი, ისინი გარშემო არიან, ზუიან, იმღერიან.

თან სიჩუმეა, სიჩუმეა...

ვეგრავ საიდგანაც მოისმის უცნაური გმინვა ოფოფისა, მეკვრთა და გასცვრეა.

შემდეგ გუგულმა დაიყვირა და [illegible] დაიკვნესა და...

ისევ ყველაფერს სიჩუმის [illegible] მოიდო...

იგი ცახცახებს, იგი [illegible] გამოუცნობმა ხმამ ყველაფერი დაფარა, და ახრჩობა ამ სიჩუმით მხიარულებაც და უბედურებაც...

და სძინავს იმედებს და სურვილებს, ის იტანჯება.

თამარ მესხის ახული.

მგზავრის წერილიდან.

ქ. ე—ში შევხვდი მთელ წყებას „გამოქცეულებისას". ნახევრად მიშველ-ტიტველი დედაკაცები და ბალღები მწარე ცრემლით მოსთქვამდნენ თავის მწარე მდგომარეობას.

— ომმა ყველაზე უდიდესი უბედურება ჩვენ დაგვატეხა თავს, ჩვენი სახლ კარი გადაბუგული და მიტოვებულია", ამბობდა ერთი სოფლის მასწავლებელი ქალი.

ეხლა ქრისტიანი მთავრობა გვშველის, ლუკმას გვაწვდის და გვპირდება დანგრეული სახლკარის აღდგენას, განაგრძო სოფლის ფერშალმა, და გაზეთს დაუწყო კითხვა, სადაც ეწერა „ქალაქების კავშირმა ამ და ამ მაზრის დაზარალებულთათვის ამდენი და ამდენი ათასი მანეთი გადასდვაო... შეწუხებულ გამოქცეულთა სახე იმედით გაუბრწყინდათ...

ერთი სიტყვით, გამოქცეულთ დამწუხრებულ სახეზე აშკარათ ემჩნეოდათ მთელი ის სულიერი განცდა, რომელიც მათ განეცადათ ომის აწარე შედეგებისაგან.

⁂

სოფ. ჩ—ში ხის ძირში ატუზულიყო ერთი აჭარელი მოვესალმე. აჭარელმა ძირს დახრილი თავი ასწია, ცნობის მოყვარეობით შემომხედა და სალამი მომცა.

— რა ამბავია თქვენსკენ?

შევეკითხე.

ეჰ! ჩვენსკენ რომ ამბავია, ღმერთმა ისეთი ნურც მტერს მისცეს. აღარ არსებობს ჩვენი ქვეყანა, მტერმა და მოყვარემაც ორივემ შური იძიეს... აკლებულია ჩვენი მრავალ წამებული სამშობლო, მისი პატრონი მშველელი არავინ არის. დღეს ჩვენს ნასახლარს სხვაზე ჰყიდიან, ალბად ჩვენი სამუდამოთ მოსპობა და სამშობლოდან გაძევება სურთ. ნეტავ ვის რა დავუშავეთ?..

ამ სიტყვების პასუხს აჭარელი ჩემგან ელოდა მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერით ვანუგეშე.

სადგურის ცოტა გასწვრივ გამოჩნდა რამდენიმე ბალღი, სამი დედა კაცი და ორი მოხუცი.

მათთან ვლაპარაკობ.

— სამი ბიღანი ცეცხლში დამეწვა, ქმარი მომიკლეს რაღათ ვცოცხლობ, ღმერთო, სადაა შენი სამართალი! სთქვა ერთმა სახე ჩამობოკილმა დედაკაცმა.

— მოსპობის გზაზე ვდგევართ, ყველა ჩვენზე განრისხდა. რა გვეშველება? ვინ დაგვეხმარება? ამბობდა ნახევრად ფეხშიშველა მოხუცი, კიდევ ვინიცის რამდენ რას იტყოდა, მაგრამ ამ დროს მატარებელი დაიძრა და გამოვშორდი საბრალო ხალხს.

მატარებლის ფანჯრიდან გავჰყურებ აჭარელთ და ჩემთვის ვამბობ თუ კი ქ. ე—ს გამოქცეულთ ეშველებიან, ამხნევებენ ამათ რაღა დაამავეს?!

არ—დი

ოდესმე დაამტკიცებენ.

ვინ არ იცის, რომ ზოგიერთ სკოლას რა სამსახურს და ხელმძღვანელობას უწევს მზრუნველი. ასეთ მზრუნველს მოკლებული იყო ქ. სასოფლოს-მთავარანგელოზის ეკლესიის სამრევლო სკოლა. ამ ნაკლის შესავსებათ წარსული წლის 26 დეკ. მოხდა ამ ეკლესიის მრევლის კრება, რომელ კრებასაც უნდა აერჩია სკოლის მზრუნველი.

მართალიც, აირჩიეს, მხოლოდ არა ერთი, არამედ ექვსი. „რამდენი მეტი პირი მიიღებს მონაწილეობას სკოლის საქმეების მოწესრიგებაში, იმდენი უკეთესია"-ო ასე სჯის ხალხი. ეპარქიალურმა სამოსწავლო საბჭომ ეს არჩევანი არ დაამტკიცა, რადგანაც საბჭოს აზრით მზრუნველი მხოლოდ ერთი კაცი! უნდა აერჩიათ, გარდა ამისა, არჩევნები უკანონოთ სცნეს, კრებას პოლიცია არ დასწრებია და არჩევანი არ დაუფასტურებიაო.

ამ ნაირად ქაღალდი გამოისტუმრეს უკან.. ასე რომ არ ყოფილიყო, რა ეშველებოდა იმ მასწავლებელს, რომელსაც სული კბილით ეჭირა, ტყვიიდან ძვრებოდა, ოღონდ კი არჩევანი შეეჩერებინა.

ათასი ეშინოდეს მუს დღის სინათლის გაურბოდეს და ეშლიროდეს მას, არ უნდოდეს გათენება, ვერას გაიწყობს, მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გათენდება. ოდესმე მზრუნველებს დაამტკიცებენ, მერე ვაი იმას, ვისაც სკოლის ადგილობრივი თანხიდან შეკვრებილი აქვს რამოდენიმე ათეული მანეთი და ვინც ერთ მანეთს გამოართმევს ბავშვს და სამაგიეროთ სამ რვეულს, ხუთ კალამს და ერთ სამ შაურიან, თუ გინდ აბაზიან კალმის ტარს მიუტანს.

წასულ კვირას, 14 ამ თვეს, მოხდა ხელახალი არჩევანი ადგილობრივ მოქადულის თანადასწრებით.

ამოირჩიეს მზრუნველად მრევლში ცნობილი თავისი მიუდგომლობითა და საქმიანობით ეკლესიის მნათე თედორე ანდრია ძე, სამზრუნველოს წევრათ კი ოთხი პირი: ანტონ ცობაძე, რომელიც პირად ინტერესებისათვის სკოლის საქმის შეფერხებას არავის შეაწევს, პ. ვარდოსანიძე, ალ. კოსტავა და ივ. მაჭავარიანი. ახლა ამათ დასამტკიცებლათ ქაღალდს უნდა მისცეს მსვლელობა სკოლების ზედამხედველმა, რომელიც სოფლათ იყო და ვგონებ, დაბრუნებულა.

ამ ნაირათ დეკემბერში დაწყებული უბრალო რამ, მაგრამ ძლიერ საჭირო თავის შედეგებით, ეგებ მარტში მაინც დაბოლოვდეს. ყველა ახლათ ამორჩეული, იმის გარდა რომ ახალგაზდები არიან, ენერგიით სავსე, საქმითაც დაინტერესებული პირები არიან, ეს კი თავდებია იმის რომ სკოლის საქმეს წინ წასწევენ, ყოველივე საჭირ-ბოროტო საკითხს მალე გამოარკვევენ და იმ უწესრიგობას, რომელიც ზემო აღნიშნულ სკოლაში სუფევს ძირიან ფესვიანათ აღმოფხვრიან. ამით ისინი თავის თავზე მიღებულ მოვალეობას პირნათლათ შეასრულებენ და ხალხის მადლობასაც დაიმსახურებენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სკოლის გამგე მოკლებულია გამგის უნარს, ამასთანავე დაუდევრობას იჩენს, მეტი რომ არ ვსთქვათ, რომ ეს ასე არ იყოს, ბევრ ისეთს რასმე ადგილი არ ექნებოდა ამ სკოლაში რასაც დღეს ვხედავთ. შემოსავალი წელს სკოლას იმდენი ჰქონდა, რომ ხარჯები გაესწორებია; მაგრამ, მოგეხსენებათ, ფულს ანგარიში უყვარს, სადაც ეს არა არის, იქ დავთრები არეულ-დარეულია. ამიტომ არის, რომ ზოგი მასწავლებელი (ამ სკოლაში სამი მასწავლებელია) ხაზინიდანაც ჯამაგირს იღებს და ადგილობრივი თანხებიდანაც სარგებლობს, ზოგს კი დეკემბრის ჯამაგირის ნაწილი აქვს მიღებული, იანვრის სულ არ მიუღია და თებერვლისას მიიღებს თუ არა, ალაჰმა უწყის. ამას ყოველივეს სამართლიანი მოწესრიგება უნდა. თუ ოდესმე დაამტკიცეს მზრუნველები, ყოველივე მოგვარდება. სკოლების ზედამხედველმა მიიღო ზომები ამის შესახებ, მაგრამ მაწერ-მოწერა აგვიანებს საქმის გამორკვევას, მზრუნველი კი თავის წევრებით ყოველივეს მალე მოფენს ნათელს, თუ მოანდომებს და საქმიანობას გამოიჩენს.

ანთირავე.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

პარიზი. ოფიციალი. 23 თებერვალი. დღის ცნობით სამხედრო კრიტიკები აღნიშნენ, რომ ფრანგთა თავდაცვის ხაზი ცოტათი უკან არის დაწეული, ე. ი. მდინარე მაასის აღმოსავლეთიდან და გამაგრებულია ხსენებულ მდინარის ველზე.

ლიონი. მთაშავეთის მეფე და მთელი სასახლის შემადგენლობა ბორდოში გადავიდა.

სტოკჰოლმი. შვეციის წყლებში, როგორც სტოკჰოლმიდან იუწყებიან გერმანიის ნაღმს აუფეთქებია შვეციის დიდი გემი. ამის გამო შვეციის ელჩი ბერლინში პროტესტს განაცხადებს.

ეკატერინობურგი. ქალაქის საბჭომ არ შეიწყნარა ლუდის მქარხნეების პატრონთა თხოვნა. სადაც იგინი ითხოვდენ ქალაქში ორ გრადუსიანი ლუდი გაეყიდათ.

ლონდონი. რუსეთის ჟურნალისტები საფრანგეთის ფრონტზე მიიწვიეს.

ლონდონი. 20 თებერვალი. თემთა პალატაში საადმირალოს პირველმა ლორდმა აწინდელმა პოლკოვნიკმა ჩერჩილმა, წარმოთქმულ სიტყვაში მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ლორდმა სავსებით უარყო და უვარგისათ გამოაცხადა ინგლისის ახლანდელი ბრძოლა საზღვაო ასპარეზზე და სამხედრო გემების მშენებელი კომისია.

ლონდონი. ბრიტანიის მთავარ ბანაკის ცნობა საფრანგეთიდან. მთელმა დღემ წყნარად გაიარა ყველა ფრონტზე მცირე შეტაკებები ხდებოდა, პონჟენოლერნთა-რელუტთან.

პეტროგრადი. გამოქვეყნებულია ბრძანება მოსკოვის სამხედრო ოლქის უფროსისადმი, რომ მკაცრი ყურადღება მიაქციეს ჯარისკაცთა და ოფიცერთა ყოფაქცევას, რადგან ეს უკანასკნელნი ხშირად ისეთ საქმეს სჩადიან და ისეთ აყალ-მაყალს ახდენენ, რომელიც მავნებელია სახელმწიფოს თავდაცვისთვის და შინაური ყოფა ცხოვრებისთვის.

ტოკიო. მინისტრ-პრეზიდენტმა პარლამენტში გამართულ ბანკეტზე, რომელსაც ჟურნალისტებიც დაესწრენ, განაცხადა, რომ ჩინეთის რევოლიუცია, იაპონიას საგრძნობ საფრთხეს უქადის.

ბერლინი. „ლოკალან ცეიტერს" ჰააგიდან დეპეშით ატყობინებენ, რომ პორტუგალიიდან გერმანელები გამორბიან ლისაბონში გერმანიის კონსულს 192 სამგზავრო ბილეთი აუღია, რომლითაც გაიგზავნება ზოგიერთი საპატიო პირი.

მოსკოვი. გამოცხადდა რუსეთის წინაალმდეგ მეომარ სახელმწიფოთა ქვეშევრდომების მიწადმფლობელობის თუ სხვა ქონების ლიკვიდაცია.

ოდესა. ფარმაცევტნი ჩაირიცხენ სახელმწიფო თავდაცვის საქმეში მომუშავეებად.

პეტროგრადი. თათბირი მოხდა ერობისა და სამოსწავლო ოლქის წარმომადგენელთა ტამბოვ-იურკევის უნივერსიტეტის გადმოტანის შესახებ.

ოდესა. გენერალ-გუბერნატორმა აკრძალა ფართლეულობის პარტიობით ყიდვა. ეს ზომა მიღებულია, არაჩვეულებრივ გაძვირების წინაალმდეგ.

ვაშინგტონი. წყალქვეშა ბრძოლის მოსპობის შესახებ რეზოლიუციის გამოტანა გადასდვეს.

ოსმალეთი. ხალხის სულიერი განწყობილების შესანარჩუნებლად ახალგაზდა ოსმალთა და გერმანელ-ავსტრიელთა კომიტეტები ხშირად ჰმართავენ გასართობებს ჯირითებს, საჩუქრებს ურიგებენ ჯარს და ხალხის ულარიბეს მცხოვრებთ, კავკასიის ფრონტისკენ კიდევ გამოიგზავნა ბულგარ-ავსტრო-გერმანელთა მათი არტილერიით შეიარაღებული ჯარი.

სევასტოპოლი. რუსეთის სამხედრო გემები ყუმბარებს უშენდა ოსმალეთის სანაპიროებს სოფ. მანევრჩისთან ყუმბარების დაშენამ დიდი დახმარება გაუწია რუსეთის ხმელეთზე მომქმედ ჯარს გადასხეს დესანტი, რომელმაც ადვილად დაიკავა სანაპირო სოფლები.

პეტროგრადი. დღის ოფიციალი ცნობა მოხზდენიძეთან რუსებმა 22 თებერვალს იერიში მიიტანეს და უკანვე დაიბრუნეს წინა დღით დაკარგული სანგრები. და რამდენიმე ტყვეც წამოიყვანეს.

პარიზი. ვერდენთან მდგომარეობა უცვლელია მდინარე მაასის დასავლეთით გერმანელები შეეცადენ იერიშის მოტანას, მაგრამ ამათ საფრანგეთის არტილერია ენერგიულად უპასუხებდა მტრის ბატარეებს.

პასუხად „ნაცნობს".*)

20 იანვრის გაზ. „მეგობრის" ნუმერში მოთავსებულია კორესპონდენცია სათაურით „ქართული მოღვაწენი", სადაც კორესპონდენტი „ნაცნობი" შეუფერებელი კილოთი და ლანძღვით აღსავსე სიტყვებით მიმასპინძლდება, სცდილობს საზოგადოებაში შეიტანოს ეჭვი ჩემს კეთილ-სინიდისიერებაზე და იქამდე კადნიერდება, რომ მომხმარებელ საზოგადოებაში მუშაობისათვის ანგარებასაც კი მწამებს. როგორც სჩანს, კორესპონდენტს დაუსახავს მიზნად ნათელ-ყოს, თუ რატომ დახარალდა მომხმარებელი საზოგადოება „ჩვენი ოჯახი" და იმის მაგივრად, რომ კითხვა გაეშუქებია ობიექტიურის გზით და დამყარებოდა უტყუარ ფაქტებზე, მოჰყოლია ლანძღვა-გინებას ამა თუ იმ პიროვნებისას და თავიდან ბოლომდე ის აზრი აქვს გატარებული, რომ ამ საზოგადოებას „კიკალიშვილ-ბურჯანაძემ" და სხვა „დასელები" არ მოვლინებოდა, მისი საქმეები ჩინებულად წავიდოდა და სხ.

ამ ჟამად არას ვიტყვი რთული კითხვის ამნაირი წესით გაშუქების შესახებ, არც იმას, თუ რა იყო მიზეზი „ჩვენი ოჯახის" დახარალებისა; კოოპერატივის „ჩვენი ოჯახის" ისტორიას უთუოდ გაეცნობა ოდესმე დაწვრილებით საზოგადოება და მაშინ, იმედი მაქვს, მიუდგომლად ღირსეულ მსჯავრს დასდებენ ამ საზოგადო დაწესებულებაში მომუშავეთაც: ხელის შემშლელნი (სიტყვით თუ საქმით) სამარცხვინო ბოძზე იქნებიან გაკრულნი, ხოლო უანგარო მუშაკთ პატივისცემით მოიხსენებენ.

ამ ჟამად შევეხები კორესპონდენტის მიერ გამოთქმულ ზოგად აზრებს, რომელიც მას მოჰყავს თავის ღირსეულ ნაწარმოებში.

სჩანს, „ნაცნობს" ვერ მიუგნია ნამდვილი წყაროებისთვის და ისეთ წყაროს დასწაფებია, რომლის სათავეც მუდამ მღვრიე და ჭუჭყიანია. სჩანს, თვითონ „ნაცნობი" არაოდეს არ ყოფილა მოწამე მის მიერ ათვალწუნებულ პირების მოქმედებისა, თორემ ასეთ ულოღიკობას გამოიჩენდა.

დავიწყოთ თავიდან და გავარჩიოთ კვალდაკვალ „ნაცნობის" მიერ წამოყენებული ბრალდებანი.

> „კოოპ. საზ—მ „ჩვენმა ოჯახმა" ჭიათურაში 1910 წ. დაიწყო მოქმედება პირველი კრებიდანვე ეტყობოდა, ყოველი ღონის-ძიება იყო მიღებული, რომ გამგეობაში დასელთა მიმდევრები გასულიყვნენ, საწადელს მიაღწიეს და ერთის გარდა, ყველა წევრი დასელთაგან იქნა არჩეული მასწავლებელ ნ. კიკალიშვილის მეთაურობით"...

ასეთ სიტყვებს, გარდა იმისა, რომ ყალბი საფუძველი აქვს, მეტი რომ არა ვსთქვათ, პროვოკაციის სუნიც უდის. დააკვირდით და შეიძლება მიხვდეთ, ბ-ნო „ნაცნობო"! მერე რატომ 1910 წლიდან იწყებთ „ჩვენი ოჯახის" შესახებ მოთხრობას"! „ჩვენ ოჯახს" ხომ ამ დრომდე ადრინდელი ისტორიაც აქვს? მაგრამ, მე ვფიქრობ, კორესპონდენტი იქ სასიამოვნოს ვერას იპოვნიდა.

1910 წ. დამფუძნებელმა კრებამ გამგეობაში აირჩია ისეთი პირები, რომლებიც კრებებს ესწრებოდენ და მის დაფუძნებაში ასე თუ ისე მიიღეს მონაწილეობა. კოოპერატივი, დღიდან დაარსებისა, მუდამ საჭიროებდა მუშაკ-ინტელიგენტებს და, თუ კი ვინმე ისურვებდა მასში მუშაობას, კარი მუდამ ღია იყო მათთვის. თუ რომ მარტო დასელების „გაყვანა" ნდომებოდათ დამფუძნებლებს, მაშინ, რასაკვირველია, გამგეობაში არ იქნებოდა არჩეული ის არა დასელი, რომელსაც გუნდრუკს უკმევს კორესპონდენტი და რომელიც შემდეგ მის მოღვაწეობაში „მამა აბრაამის ბატკნად" ყავს მას დასახული (თუ რა იმოღვაწევა ამ არა დასელმა, ან ის შეეწირა ზვარაკად გამგეობის დანარჩენ წევრებს, თუ თვითონ ინება შესაწირავი,—ეს კარგად უწყის ჭიათურის საზოგადოებამ). გამგეობის წევრი რომ ვერ უშოვია საზოგადო კრებას, სხდომაც კი გადაუდევს; გაიხსენეთ ლ. ბურჭულაძის არჩევა. მაშასადამე, პარტიებს „ჩვენი ოჯახის" დამფუძნებელთა შორის ადგილი არ ჰქონია.

> „ჯერ კიდევ ფურნის გახსნის დღიდან ორ სამ თვეს შემდეგ დასელმა გამგეობის წევრებმა გადასწყვიტეს, რომ ფურნისათვის ჯამაგირიანი გამგე დაენიშნათ... ამ აზრს წინაალუდგა არა დასელი წევრი, რომელმაც ის აზრი გამოსთქვა, რომ ბურჯანაძე, რომელსაც ამ საქმეში არავითარი გამოცდილება არ აქვს, საჭირო დაწესებულების გამგეთ არ გამოდგებოდა და არც საზოგადოებას ჰქონდა სახსარი ჯამაგირი ეძლია მისთვის და მისი აზრით უმჯობესი იყო შემთვლით გამგეობის წევრთა მორიგეობა, მაგრამ იმათ თავისი გაიტანეს და ბურჯანაძე გამგეთ დანიშნეს".

ჯერ ერთი, ასეთი აზრი არ გამოუთქვამს მაშინ არავის გამგეობაში და მეორეც, კიდევაც რომ გამოეთქვა ვისმეს, განა შესაწყნარებელი იქნებოდა? ფურნეს ესაჭიროებოდა განსაკუთრებული პირი, რომელიც მთელი დღეობით მისთვის უნდა ყოფილიყო მოცლილი და აბა, ერთი მითხარით, რომელი გამგეობის წევრი იკისრებდა ამას? ამასთანავე გამგე ხშირად პურის გამყიდველსაც ეხმარებოდა. რაიცა შეეხება გამოცდილებას ვაჭრობაში, გამოცდილება არც ერთს ჩვენთაგანს არ გვქონდა, არ ჰქონდა არც ჩვენ მიერ მოწვეულ პირს პ. ბურჯანაძეს, მაგრამ რაკი საქმის უნარი დაგვანახვა (რამოდენიმე ხანს დღიურ ქირაში მსახურებდა) და საზოგადოების მხრივაც ნდობით აღჭურვილი პირი იყო, ჩვენც ის მოვიწვიეთ გამგეთ.

ლოღიკა ღალატობს „ნაცნობს", როცა ამბობს სახსარი არ ქონდა საზოგადოებას ჯამაგირი ეძლია გამგისათვის. თუ სახსარი არ ჰქონებოდა, ვერც ჯამაგირს მივცემდით. მაგრამ ჩვენ ჯამაგირებიც გავისტუმრეთ და დივიდენდიც დავურიგეთ წევრებს. ამის გასაგებად საკმაო იყო დაბეჭდილი ანგარიშის წაკითხვა.

> „თავმჯდომარემ და გამგემ ანგარიშების ისეთი წესი შემოიღეს, რომ რაც უნდა გენიოსი ბუღალტერი ყოფილიყო, თავს და ბოლოს ვერ გაუგებდათ და სხ.".

თავსა და ბოლოს ვერ გაუგებდა მხოლოდ უთაო ადამიანი, თორემ ჩვეულებრივი ადამიანი ყოველთვის ადვილად მიხვდებოდა, რაც ეწერა შიგ. ჩვენ იმ წესით და იმნაირივე წიგნები შემოვიღეთ, როგორც მათხოჯის მომხმარებელ საზოგადოებას ჰქონდა. სანიმუშო ფურცლებიც იქიდანვე გვქონდა წამოღებული. გაუგებარი იქ არაფერია და სწორედ იმიტომაც იქნა შემოღებული მათხოჯის სისტემა, რომ, უკეთუ საბუღალტერიო წიგნები შემოგვეღო, უთუოთ ბუღალტერიც უნდა მოგვეწვია და ამის სახსარი კი მაშინ საზოგადოებას არ ჰქონდა. შემდეგ, როცა წარმოება გაფართოვდა და ერთის მაგიერ 7 განყოფილება შეიქნა (საჭირო, რასაკვირველია, ასეთი მარტივი წესით შეუძლებელი იყო დავთრების წარმოება და გამგეობამაც მოიწვია ბუღალტერი. ინსტრუქტორიც კი მოვიწვიეთ, რომ ბუღალტერს დახმარებოდა ახალ [illegible]ზე დაეწყო დავთრები, ჩვენ ყოველი ღონისძიება ვიხმარეთ, რომ დავთრების წარმოება რიგზე დაგვეყენებინა, [illegible] ვსებით ვერ განვახორციელეთ [illegible]. ამის მიზეზი იყო ჩვენგან დამოუკიდებელი გარემოება: ომის გამოცხადება, რომლის მეოხებითაც სხვა მხრივაც დიდ კრიზისს განიცდის კოოპერატივი.

ნ. კიკალიშვილი.

დასასრული ხვალ

---

*) ავტორს ეს წერილი წარუდგენია „მეგობრის" რედაქციისათვის, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ. ვბეჭდავთ ამ წერილს სიმართლის გამოსარკვევათ. **რედ.**

რედაქტორი ი. ცინცაძე.
გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო".

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისში მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს.	50 წ.
„	— საღამ.	— 6 ს.	57 წ.
ბათომიდან	— დღისით	— 1 ს.	25 წ.
„	— ღამის	— 2 ს.	23 წ.
ფოთიდან	— დილის	— 10 ს.	8 წ.
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს.	39 წ.
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს.	18 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისკენ	— დილის	— 11 ს.	55 წ.
„	— ღამის	— 1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	— დღისით	— 5 ს.	30 —
„	— დილის	— 4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	— დღისით	— 4 ს.	27 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	20 წ.
შორაპნისაკენ	— დღით.	— 5 ს.	— —

საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ გავხსენი სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოება

„რუსეთი" („როსსია"),

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევისაგან. პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩემს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26.
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.
7 თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოების **დავით სიმონის ძე ლოლობერიძე.**

ქუთაისი.
ძმ. ყორყოლაძეების მაღაზიაში
(მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი).
მიღებულია ვენახის ასაკრავი საუკეთესო ქილი.
იქვე იყიდება ყოველგვარი საბაკალეიო საქონელი. ფასები ყველაფერზე ზომიერია. 8

სალი კუჭი!
ჟელაგარი ექ. ვეზისა.
ახალი მეცნიერულათ შემზადებული პრეპარატი კუჭის ქრონიკულ ყაბზობის, მოშლის, ნაწლევების, კატარის და საჭმლის გადამხარშველ ნაწილების სისუსტის წინაალმდეგ.
ქრონიკული ყაბზობა წყაროა მთელი წყება კუჭ-ნაწლევების მოშლისა, პირის ღებინებისა, სიმწვავისა, მუცლის ბერვისა, კუჭის ტკივილებისა, ნაწლევების კატარისა, გემოროისა, იწვევს სისხლის მოწამვლას, თავის ტკივილებს, მადის დაკარგვას, ცუდ გუნებას და საერთოდ მთელი ორგანიზმის მოშლა—დასუსტებას.
ყაბზობის წინაალმდეგ ჩვეულებრივ ხმარობენ საფაღარათო წამლებს, რომელიც არა თუ სპობს ყაბზობას, პირიქით უფრო აძლიერებს მას.
პრეპარატი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა გვიჩვენებს ჩვენ ახალსა და უტყუარ რადიკალურ გზას ყაბზობისა და მის მწვავე შედეგებისაგან გასაკურნავათ.
ჟელაგარი ექ. ვეზისა აქარწყლებს კალაგვის მასსას, ასაღებს ნაწლევებს, აშორებს უდებობას და აჩვევს მათ ნორმალურ მუშაობას და რადიკალურათ სპობს ქვალს, ნაწლევების კატარს, მიგრენს და სხვა სისუსტეს, რომელიც გამოწვეულია ყაბზობისაგანა.
ჟელაგარი სრულებით უვნებელი საშუალებაა სხეულისათვის და სრულებით ადვილი გადასატანია თვით ჯიუტ ავათმყოფებისაგანაც კი.
პრეპარატ **ჟელაგარს** ხმარობენ გამოჩენილი პროფესორები კუჭის ავათმყოფობის დროს და მოწონებულია როგორც უტყუარი და სარწმუნო საშუალება კუჭის ყოველგვარ ავათმყოფობისა და მისი შედეგებისათვის.
დაწვრილებით **ბროშურა** კუჭის ავათმყოფობის შესახებ პირველ მოთხოვნილებისთანავე იგზავნება **უფასოთ.**
ნამდვილი **ჟელაგარი** ექ. ვეზისა მზადდება საფრანგეთსა და რუსეთში. იყიდება „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის განყოფილებაში" და ქ. ქუთაისში **ა. პ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში.
გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
ჟელაგარის ერთი კოლოფი ღირს 3 მ., მოსარჩენათ საჭიროა 3—6 კ.
19 (წლიური)

[illegible] ამ. კობრიძისა—ქუთაისში
ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.